



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030456119147617

04-264/ო

28 / აპრილი / 2017 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 თებერვლის N04-72/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N208 დადგენილებით შეტანილი ცვლილების, „პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის“ რეკომენდაციების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობის (N04-7497, 11.04.2017) გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) დირექტორის 2013 წლის 27 თებერვლის № 04-72/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართის სახით.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე